პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი ჯარიელი
ო. მ.

გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. მეორე სართული.

ფასი 5000 მანეთი.

კვირა 13 აგვისტო 1922 წ.

№ 71

საქართველოს შეერთებული ბრიგადის პოლიტგანყოფილების ორგანო

სამართლიანი განაჩენი

ორი თვე:

რვა ივნისი—რვა აგვისტო.

რვა ივნისს დაიწყო ესერების პროცესი საბჭოთა რუსეთის დედა ქალაქში—მოსკოვში და რვა აგვისტოს დასრულდა ის.

ორითვე გაგრძელდა ეს პროცესი.

ამ ორი თვის განმავლობაში მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს პროცესის მიმდინარეობას.

რუსეთის მუშათა კლასი აშკარათ მოითხოვდა თავის სისხლით და ოფლით შექმნილ სასამართლოსაგან ბრალდებულების—მემარჯვენე ესერების, უმაღლეს სასჯელით—სიკვდილით დასჯას.

ასეთივე დამოკიდებულებაში იყო ამ პროცესთან სხვა სახელმწიფოების რევოლიუციონური პროლეტარიატი.

სულ სხვა „სულისკვეთებას" გრძნობდა ბურჟუაზია და მისი ამყოლ-დამყოლი პარტიები ამ პროცესით.

მათ დასაცავათ ბურჟუაზიამ მობილიზაცია უყო თავის ძალებს და ესერების დაცვა მიანდო თავის ლაქიებს—მემეორე ინტერნაციონალის „კეთილ" მეთაურებს.

ამ უკანასკნელებმა მოინდომეს პროცესისთვის პოლიტიკური ხასიათი მიეცათ.

მათ მოინდომეს საბჭოთა ხელისუფლების გაშავება მსოფლიო პროლეტარიატის თვალში.

მაგრამ მათ იმედები გაუცრუვდათ და მოსკოვიდან „კუდ-ამოძუებულნი" უკან გაიპარნენ.

ესერების მოღალატური როლი მუშათა კლასის და რევოლიუციის წინაშე თავიდანვე ცხადი იყო.

ორი თვის განმავლობაში ამ პროცესით დაწვრილებით ირკვეოდა მემარჯვენე ესერების მოღალატური როლი რევოლიუციაში.

დაწვრილებით გამოირკვა, არა თუ მთელი პარტიის გამყიდველობა რუსეთის პროლეტარიატისა, გამოირკვა თვითეული მისი წევრის დანაშაულობანი და ბოროტებანი.

და აი, რვა აგვისტოს დასრულდა ეს პროცესი და მშრომელთა სახელმწიფო სასამართლომ გამოიტანა სამართლიანი განაჩენი, რომელიც სრულიათ იბეჭდება ჩვენს დღევანდელ გაზეთში.

საგულისხმოა ის, რომ ამ განაჩენში იოტის ოდენა არ არის შურისძიების ელემენტი.

წარსულ რევოლიუციების ისტორიიდან ჩვენ ვიცით, ასეთ შემთხვევებში, თუ როგორ იქცეოდა ბურჟუაზია:

მოვიგონოთ პარიზის კომუნის დამარცხება და გამხეცებული ბურჟუაზიის მიერ გასამართლება კომუნარებისა. ამ უკანასკნელების სისხლით შეღება მან ქუჩები.

საბჭოთა ხელისუფლებას სრულიათ „არ სწყურია სისხლი".

ამიტომ, ც. აღმ. კომ. დადგენილებით ბრალდებულთა იმ ჯგუფის მიმართ ტრიბუნალის განაჩენი, რომელთაც მიესაჯათ სიკვდილით სასჯელი დამტკიცებულ იქნა, მხოლოდ მისი ასრულება კი შეჩერებული.

მაგრამ ასეთი დადგენილება შესრულდება მხოლოთ მაშინ, თუ ესერები შეწყვეტენ მოღალატურ მოქმედებას.

წინაამდეგ შემთხვევაში კარგათ უნდა იცოდნენ იმათ, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა არ დაინდობს.

ეს უნდა დაიმახსოვრონ კარგათ.

სანდრო.

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტის დადგენილება.

სცნობს რა ერთის მხრივ სავსებით სისწორეს და რევოლიუციონურ მიზანშეწონილებას უზენაესი ტრიბუნალის დადგენილების და იღებს რა მხედველობაში, მეორეს მხრივ, ჩამორჩენილ ბურჟუაზიის მიერ დანიშნულ და სოციალ დემოკრატიის მიერ მოტყუებულ საერთაშორისო მუშათა კლასის ნაწილის არსებობას და ისახავს რა, ამ შემთხვევაში მიზნათ აჩვენოს მშრომელ მასას ცხადი გაკვეთილი რევოლიუციონური მოქმედებისა,—სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმი ადგენს:

1. უზენაეს ტრიბუნალის განაჩენი ბრალდებულ გოცისა, დონსკოისა, გერშტეინისა, გენდელმანისა, გრამოვსკისა, ლიბერისა, ივანოვისა, ევგენია რატნერისა ეოეკინისა, ტიმოფეევისა, მოროზოვისა, აგაპოვისა, ალთოვსკისა და ივანოვას მიმართ, რომელთაც მისჯილი აქვთ უმაღლესი სასჯელი,—დამტკიცებულ იქნეს, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა შეაჩეროს.

თუ სოციალისტ რევოლიუციონერების პარტია ფაქტიურად, სინამდვილეში, შესწყვეტს არა ლეგალურ შეთქმულებებს, საიდუმლო ტერორისტულ, სამხედრო ჯაშუშურ და საბჭოთა ხელისუფლების წინაამდეგ მუშათა და გლეხთა აჯანყებების მოწყობის მუშაობას, ამით იგი გაანთავისუფლებს უმაღლეს სასჯელისგან თავის ხელმძღვანელ წევრებს, რომელნიც წარსულში ხელმძღვანელობდენ ამ მუშაობას და თვით პროცესზედაც დაიტოვეს უფლება ამ მუშაობის მომავალშიც გაგრძელებისა.

პირიქით: თუ სოც. რევოლიუციონერთა პარტია განაგრძობს შეიარაღებულ ბრძოლას მუშურ გლეხური მთავრობის წინაამდეგ, ეს აუცილებლად გამოიწვევს დახვრეტას, უქვე გასამართლებულ, კონტრ რევოლიუციონური აჯანყებისა და ტერორის სულის ჩამდგმელებისა და ორგანიზატორებისას.

როგორც უმაღლესი სასჯელით დასჯილნი, ისე ხანგძლივი ვადით დაპატიმრება მისჯილნი, უნდა იმყოფებოდენ სასტიკ იზოლიაციაში.

2. სემიონოვის, კონოპლიოვას, ეფიმოვის, კოზლოვის, პელევინის, სტავსკაია, კაშჩევსკის და იგნატიევის შესახებ, უზენაეს ტრიბუნალის შუამდგომლობა მათი სრულიად განთავისუფლების შესახებ—დაკმაყოფილებულ იქნეს.

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარე—**კალინინი.**

მდივანი—**ენუქიძე.**

უზენაესი ტრიბუნალის განაჩენი ესერების საქმის შესახებ

მოსკოვში 8 აგვისტოს უზენაეს რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა გამოიტანა დასაბუთებული განაჩენი მემარჯვენე ესერების საქმის შესახებ.

უზენაესი ტრიბუნალმა გრიგოლ რატნერი გაამართლა; მარაჩევსკი გაამართლა. სტავსკაიას ბრალდება ჯაშუშობაში იცნო დაუმტკიცებლად; ზლობინის მიუსაჯა დაპატიმრება 2 წლით სასტიკი იზოლიაციით;

გალოვსა და დობროლიუბოვს დაპატიმრება 3 წლით სასტიკი იზოლიაციით;

დაშევსკის 3 წ. დაპატიმრება სასტიკი იზოლიაციით. სტავსკაიას დაპატიმრება 2 წლით სასტიკი იზოლიაციით: უტგოვს, დარიეინსკის და მიხეილ ლვოვს 5 წლით დაპატიმრება სასტიკი იზოლიაციით; პელევინის დაპატიმრება 3 წლით; უსოვს, ზუბკოვს, ფედოროვს და კოტოლოვს სცნობს რა მათ მძიმე დანაშაულობას, მაგრამ იღებს რა მხედველობაში მას, რომ ისინი პროლეტარები არიან—მიუსაჯა 5 წლით დაპატიმრება; ლიბეროვს 10 წლით დაპატიმრება; რაკოვს 10 წლით დაპატიმრება. გოცსა დონსკოის, გერშტეინს, გენდელმანს, ლიხაჩს, ნიკოლოზ ივანოვს, ევგენი რატნერს, ტიმოფეევს, მოროზოვს, აგოფონოვს, ალტოვსკის, იგნატიევს, სემიონოვს, კონოპლიოვას, ელენე ივანოვას—დახვრეტა.

სასამართლო იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ იგნატიევმა საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი თავის კონტრევოლიუციონურ წარსულთან და წარმოადგენს სოციალურად უშიშარ ელემენტს.—

უზენაესი ტრიბუნალი შუამდგომლობს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის წინაშე გაანთავისუფლოს იგნატიევი სასჯელისაგან.

სემიონოვის, კონოპლიოვას, ეფიმოვის, უსოვის, ზუბკოვის, ფედოროვის, კოზლოვის, პელევინის, სტავსკაია და დაშევსკის შესახებ,—ტრიბუნალი სცნობს, რომ ისინი გულწრფელად იყვნენ ჩავარდნილი გაუგებრობაში, როდესაც ახდიოდენ ბოროტმოქმედებას და შეიგნეს რა კონტრევოლიუციონური როლი სოციალისტ რევოლიუციონერების, გამოვიდენ ამ პარტიიდან და წავიდენ მუშათა კლასის მტრების ბანაკიდან, სადაც ისინი შემთხვევით იყვნენ მოხვედრილნი.

ხსენებულ ბრალდებულებმა შეიგნეს მთელი სიმძიმე მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებისა. ტრიბუნალი სავსებით დარწმუნებულია, რომ ისინი მედგრად და თავდადებულად იბრძოლებენ მუშათა კლასის რიგებში, ამიტომ ტრიბუნალი შუამდგომლობს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის წინაშე მათი სასჯელისაგან სავსებით განთავისუფლების შესახებ.

გარდა ამისა ტრიბუნალმა მიუსაჯა ბრალდებულებს (გამოტოვებულია)... გორკოვს, ზლობინს, ლვოვს, რაკოვს ფედოროვიჩს, უტგოვს, ლიბეროვს და ვერგაფს უფლებების ჩამორთმევა 5 წლით. იგნატიევი, კონოპლიოვა, სტავსკაია, სემიონოვი და უსოვი დააპატიმრონ.

ნივთიერი საბუთები შეინახოს ოქტომბრის რევოლიუციის არქივში.

ამხ. რადეკის წერილი

„კავროსტასაგან" რადიო დეპეშა ესერების საქმეზე მოსკოვში 7 აგვისტოს გამოტანილი განაჩენის შესახებ, არ იყო მიღებული თბილისის რადიო-სადგურის მიერ ძლიერი ატმოსფერულ მოვლენათა გამო „კავროსტამ" ენერგიული ნაბიჯები გადადგა, რათა პირდაპირი მავთულით მიიღოს მოსკოვიდან განაჩენის ტექსტი.

მოსკოვი 10 აგვისტო (რადიო). სიკვდილით დასჯის განაჩენი მემარჯვენე ესერების ლიდერებისათვის, არის განაჩენი რუსეთის მუშურ-გლეხურ რუსეთის თეთრი ბანდების, ანტანტის ჯარებისა და ესერების ხელის შემშლელი მუშაობისაგან. (დამახინჯებულია)... შეიძლებოდა გაეგო თუ უზენაესი ტრიბუნალი იტყოდა, რომ ესერების ხელმძღვანელები, რომელნიც დაწყებულნი ოქტომბრიდან, მუშების და გლეხების გამარჯვების დღიდან, განუწყვეტლივ ასულდგმულებდენ, აწყობდენ და აწარმოებდენ სამოქალაქო ომს მშრომელთა წინააღმდეგ,—არ არიან დამნაშავენი მუშებისა და გლეხობის წინააღმდეგ ჩადენილ ბოროტ მოქმედებაში და არ უნდა იქნენ პასუხისმგებელნი თავის სიცოცხლით ამ ბოროტ მოქმედებისათვის. ასი ათას ინვალიდებს, ასი ათას ობლებსა და სამოქალაქო ომის ჯარის კაცებს უფლება ექნებოდათ მოეთხოვათ რევ-ტრიბუნალისაგან დაუნდობელი მსჯავრის გამოტანა იმათ მიმართ ვისი მიზეზებითაც იქნენ მოკლულნი მათი მამები. რევტრიბუნლის განაჩენი არის განაჩენი რუსეთის მშრომელი მასების სინდისისა. საბჭოთა მთავრობამ დაამტკიცა განაჩენი, გამოდიოდა რა ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესებიდან, რუსეთის დასაცავად.

საბჭოთა მთავრობამ სთქვა, რომ ბრძოლა კიდევ არ არის დამთავრებული და რომ მსოფლიო კაპიტალი ამზადებს ახალ შემოტევას რუსეთის მშრომელთა წინააღმდეგ და რომ ესერები ძველებურად არიან იარაღი საერთაშორისო კა-

პიტალის ხელში. მაგრამ საბჭოთა მთავრობამ შეაჩერა განაჩენი სისრულეში მოყვანა ამ ჟამად ჩვენი მოწინააღმდეგენი სუსტნი არიან, ანტანტას არ შეუძლია შეიარაღებული შემოტევის დაწყება. ესერების პარტიის ორგანიზაცია, რომელიც არის სამხედრო ჯაშუშობის შტაბი ანტანტისა—უკვე განადგურებულია ჩვენ. სამხედრო შესვენების მდგომარეობაში ვართ თუმცა არსებობს კანონიერი პოლიტიკური უფლება ესერების დასასჯელად, მაგრამ საბჭოთა მთავრობა აძლევს მათ ვადას იგი ამბობს: სამოქალაქო ომის ცეცხლის წამკიდებელნო ესერებო, მკვლელებო ესერებო, თუ თქვენ შესწყვიტთ თქვენ სამოქალაქო ომის, ჯაშუშობისა და ტერორობის პოლიტიკას, მაშინ თქვენი ხელმძღვანელები გადარჩენილნი იქნებიან მაგრამ თუ მიუხედავათ იმისა, რომ თქვენი სახე. გამომჟღავნდა ხალხის მასებისა და საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე, თქვენ მაინც განაგრძობთ თქვენ ბოროტ მოქმედებებს, მაშინ იცოდეთ, რომ დანდობასა და შებრალებას აღარ ექნება ადგილი და რევოლიუციონური მართლმსაჯულების მახვილი დაეცემა თქვენი ხელმძღვანელების კისერზე და თქვენ ორგანიზაციებზე. რომელთა წევრებსაც ჩვენ შევხედავთ არა როგორც. პოლიტიკურ მებრძოლებს, არამედ როგორც ანტანტის ჯაშუშებს. ამრიგათ საბჭოთა მთავრობამ ესერების პარტიის ფაქტიურ ხელმძღვანელებს ჩერნოვს, ზენზინოვსა და კერენსკის.

ჩვენ მათ ვეუბნებით: თუ თ თქვენ გადასწყვიტეთ ბედი თქვენი ხელმძღვანელებისა და თქვენივე პარტიის. მთელი ქვეყნის წინაშე, საბჭოთა მთავრობამ პასუხის მგებლობა იმ სისხლის შესახებ, რომელიც სურადათ რუსეთში დაექციათ ესერებს,—დააკისრა ესერების პარტიის მეთაურებს, ამ გადაწყვეტილებით, საბჭოთა მთავრობა უსპობს საშუალებას ესერებს მიმართონ დასავლეთის მუშათა მასების ჰუმანიურ გრძნობებს და იყონ ბურჟუაზიისა და საერთაშორისო მენშევიზმის გავლენის ქვეშ. საბჭოთა მართლმსაჯულების მახვილი ამოღებულია და იგი მუშურ გლეხური მთავრობის მტკიცე ხელშია. საბჭოთა მთავრობა არ ხელმძღვანელობს შურის ძიების გრძნობით, იგი მხოლოდ იცავს რევოლიუციონური წესიერების, მშვიდობიანობისა და შრომის ინტერესებს. და თუ ესერები არ შეწყვეტენ სახელმწიფოს სამოქალაქო ომის ცეცხლის ჩათრევას, მაშინ ეს მახვილი დაეცემა მათი მეთაურობის კისერზე. თუ ისინ კიდევ გაბედავენ ხელის სასიკვდილოთ გამოწვევას, მაშინ საბჭოთა ხელისუფლება შეასრულებს რესპუბლიკის დაცვის საქმეს. თუ მტრები ჩვენ წინააღმდეგ ახალ შემოტევას დაიწყებენ, ისინი მიიღებენ სათანადო პასუხს. ეს ეხება არა მარტო ესერებს, არამედ საბჭოთა რუსეთის სხვა დანარჩენ მტრებსაც.

მოსკოვი 10 აგვისტო (რადიო). რევტრიბუნალის განაჩენში, რომელიც გადმოცემული იყო რადიო დეპეშაში, გამოტოვებულია ბრალდებულების ვედენიაპინის, ფედოროვიჩის და არტემიევის გვარები, რომელთაგან თვითეულს მისჯილი აქვს 10 წლით დაპატიმრება.



ჩვენი შემოქმედება

ჩვენი სიმღერა

დე გასკდეს მეხი, და ბრძოლის ველით
აქარიშხალდეს ცა და ხმელეთი,
ცეცხლში დაიწვას ძველი ქვეყანა—
აღარ სუფევდეს არსად ბნელეთი.

——

აღარ მესმოდეს კვნესა მოძმისა
და შრომის მწარე გამოძახილი,
ერთის მხრივ კვნესა გულს არ შხამავდეს
მეორე მხრივ კი: შვება, სიცილი.

——

უნდა დავლეწოთ შავი სასახლე
იქ შავ სამყაროს დღეს აგებული,
სადაც ასობით ტანჯვას განიცდის
საერთო საქმის მოძმე-ერთგული

——

და დიახ მაშინ ვიგრძნობ სიმშვიდეს
მაშინ ვიქნები თავისუფალი,
ო, მაშინ მხოლოდ გამინელდება
მოკიდებული გულს სევდის ალი

——

როს ყველა მოძმეს თავისუფალსა
ვნახავ მონობის ბორკილებიდან
მე სათნოების სიტყვებს ამოვკრებ,
საგალობელად მაშვრალთ ხმებიდან.

ციმბირელი

გასამართლება.

შაბათს, 29 ივლისს, მეორე. ქართ. შეერთებულ საარტილერიო დივიზიონის კლუბში დადგმულ იქნა პიესა „ლურჯი ხალათი“.

პიესის დაწყებამდე ამხ. პაპუკაშვილმა გააკეთა მოხსენება თვით ამ პიესის შინაარსის და მნიშვნელობის შესახებ.

წარმოდგენის დასასრულს მოაწყვეს პიესის გმირის ანიკოს გასამართლება, რომელსაც ბრალს სდებენ პარტიის წინაშე ღალატს დასიყვარულის დაგმობას.

სასამართლოს მსაჯულებათ აუდიტორიამ აირჩია შვიდი კაცი, რომელთაც თავმჯდომარეობდა ამხანაგი ე. ყაჭეიშვილი.

ბრალდებელთა და დამცველთა ხანგრძლივი აზრთა გაცვლა-გამოცვლის და კამათის შემდეგ, სასამართლომ ბრალდებული ანიკო გაამართლა, რითაც მაყურებლები უკმაყოფილო დარჩენ.

ამის შემდეგ სასამართლო იძულებული გახდა თვით აუდიტორიისთვის მიენდო მსჯავრის გამოტანა. კენჭის ყრით ხმის დიდი უმრავლესობით ანიკო დამნაშავედ იქმნა ცნობილი. თუმცა სამსჯავროს წევრი ბრალმდებლები ხელმეორედ მოითხოვენ ანიკოს გასამართლებას და არ არნან აუდიტორიის განაჩენით კმაყოფილნი, მაგრამ წითელ-არმიელნი დარწმუნებულნი არიან, რომ ანიკო, როგორც პარტიის მოღალატე, მაინც გამტყუნებული იქნება.

უნდა ითქვას, რომ ასეთი გასამართლება დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს წითელ-არმიელებში.

ივ. ცულუნია.

საპლაკატო ტექსტები „სამხედრო აგიტაციის დღისათვის“.

1. ათას ცხრას ოცდა მეორე წელი არმიაში უნდა იყოს სამსწავლთო წელი.

ლ. ტროცკი.

2. ამხანაგო წითელ-არმიელებო, სამხედრო ხელოვნებას ყველაზე უკეთ შეგ სწავლით თქვენ მეთაურები პრაქტიკაზე, მაგრამ არიან კიდევ წიგნები სამხედრო საქმისა. თუ გინდათ იყოთ კარგი არმიელები ამოჰკრიფეთ ცოდნა წიგნებიდანაც.

3. პოლიტიკური ცოდნა საჭიროა თითეულ არმიელისათვის იმიტომ, რომ მან იცოდეს: თუ რისთვის იბრძვის, ვის იცავს, რისთვის არი არმიაში? სამხედრო საქმის ცოდნა იმისთვისაა საჭირო, რომ იცოდე: თუ როგორ იბრძოლო, როგორ დაამარცხო მტერი?

4. ამხანაგო პოლიტმომუშავენო, იცოდეთ, რომ ძლევამოსილი არმიის შექმნისათვის უნდა მოამზადოთ წითელ-არმიელი პოლიტიკურად და აღამაღლოთ მისი სამხედრო ცოდნა. იზრუნეთ მისი პოლიტიკურად განვითარებისთვის და ეცადეთ მთელი ღონით დაეხმაროთ მეთაურებსაც მათ მუშაობაში.

5. წითელ- არმიელის სამხედრო ცოდნის განვითარებისათვის უნდა ზრუნავდეს არა მარტო მეთაური, არამედ ყოველი პოლიტმომუშავე: ბიბლიოთეკარი კლუბის და სასკოლო მომუშავე. დე იფიქროს თვითეულმა თუ როგორ უნდა მოხდეს ეს.

6. კაპიტალისტური ქვეყნების არმია, რომლებიც ჩვენი მტრებია, კარგათ შესწავლილნი არიან და მდიდრათ მომარაგებულნი. უჭკუობა იქნებოდა იმათ წინააღმდეგ შიშველი, ხელებით ბრძოლა. სამხედრო საქმის ცუდათ მცოდნე წითელ არმიელი არაფრით არ განსხვავდება უიარაღოსთან.

7. ამხ. წითელ-არმიელებო, გიცნობა წითელ-არმიის ისტორიისა და მათი საგმირო საქმეთ: გაგება აუცილებელია. მთავარი იყო გმირები წითელ-არმიაში და გაიმარჯვა მან. ყველაფერი ჯერ არ დაწერილა, მაგრამ მაინც მრა-

თეზისები.

საბჭოთა განყოფილების და სექციების მუშაობის და მათი სტრუქტოური და ურთიერთობა სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

ამხ. ჯაფარიძის მოხსენება.

1. განყოფილების და სექციების სტრუქტურა და მათი ურთიერთობა სხვა პოლიტ-ორგანიზაციების განყოფილებასთან.

ერთ მთავარ მორიგ ამოცანას პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობისას საქართ. წითელ არმიაში, შეადგენს საბჭოთა სექციების-სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

ამა თუ იმ სექციის, რომელსაც მიზნად დასახავს წითელ-არმიელების საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმა და მათი დაახლოვება მუშებთან და გლეხებთან, უნდა მიექცეს მაქსიმუმი ყურადღებისა. ასეთი ტიპის სექცია უნდა მოეწყოს ყველა კოლექტივებთან, ლეგიონების ბატალ. ესკადრონების და სხვა ცალკე ნაწ. კომიჩეიკების ბიურო პრეზიდიუმ თან, რომელშიაც უნდა ჩაებას ყველა კომუნისტები პარტიული დისციპლინის წესით და უპარტიო წითელ-არმიელებიც.

სექცია ირჩევს სახელმძღვანელო ორგანოს სამი წით. არმიელისაგან: რომლებში ორი უნდა-იქნეს პარტიული, რომლებიც სისტემატიურად ანგარიშს უდგენს კოლექტივის ბიუროს, და ერთი უპარტიო, რომელსაც ირჩევენ ამა თუ იმ ნაწილის საერთო კრებაზე.

სექცია პასუხისს მგებელია ქართ. ბრიგადის პოლიტ-განყოფილების საორგანიზაციო ნაწილთან, კერძოთ კი საბჭოთა აღმშენებლობის ინსტრუქტორთან, რომელის (სექცია) ასრულებს მის დავალებებს და რომელსაც მასთან აქვს მჭიდრო კავშირი.

2 ურთიერთობა და კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

საბჭოთა განყოფილებების და სექციების მუშაობა მიდის ისეთ მიმართულებით, რომელიც დამყარებულია ურთი ერთ (პოლიტ-ორგანოების და სამოქალაქო დაწესებულებათა შორის) დახმარებაზე.

ადგილობრივი სამოქალაქო ორგანოებთან კავშირის დასაჭერათ უპირველესად ყოვლისა უნდა გამოყენებულ იქნან ის არმიელები წითელ-არმიიდან, რომლებიც დეპუტატებათ არიან ადგილობრივ საბჭოში და რომლებიც იმავე დროს არიან წევრნი საბჭოთა სექციებისა; გარდა ამისა გამოყენებული უნდა იქნას კიდევ ის მეთოდები, რომელსაც წარმოადგენს სხვა და სხვა წარმომადგენლობა სამოქალაქო ორგანოებში.

3. განყოფილებების და სექციების მუშაობის შინაარსი.

განყოფილებების და სექციების მუშაობის შინაარსი უნდა ეთანხმებოდეს იმ ამოცანებს, რომლებიც ერთი მხრივ დგანან სამოქალაქო ორგანიზაციების და მეორე მხრივ პოლიტ-ორგანოების წინაშე საბჭოთა აღმშენობლობის ნაწილში.

ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა რესპუბლიკებისათვის ეს ამოცანები საერთოდ არის მთლიანი, ხოლო წვრიმალებში კი არა.

უნდა ითქვას, რომ ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში და კერძოთ კი საქართველოში-საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ ახალგაზრდაა.

ის ჯერ კიდევ საქართველოსთვის არ არის გამაგრებული. გარდა ამისა ეს მდგომარეობა მწვავდება კიდევ იმით, რომ აქ საბჭოთა წესწყობილებას მოგვარება დაიწყო-ახალი ეკონომიური პოლიტიკაზე გადასვლის დროს. თავის განვითარების საქმეში აქ საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ განუცდია ის მომენტები, როგორიც განიცადა ეს რუსეთმა. თავიდანვე ხელისუფლებამ დაიწყო მუშაობა იმ ნიადაგზე, რომელიც ვერ არის გამოსაყენებელი პროლეტარულ დიქტატურისათვის და იმ სახით და მეთოდებით, როგორზედაც მუშაობდა რუსეთი 1921 წლამდის, რის გამოც საბჭოთა ხელისუფლებამ დაუშვა დიდი შეცდომები თავის მუშაობის პროცესში.

შექმნილი მდგომარეობა აყენებს საბჭოთა ძალა-უფლების წინაშე თავის გასამაგრებელ ამოცანებს და მაშასადამე ასეთივე ძალით ესევე ამოცანები სდგას პოლიტ-ორგანოების წინაშედაც.

გამაგრება სამოქალაქო ორგანოებისა შეიძლება თუ მიეცემა მათ საკმაო კოდრი გამოცდილ მუშაკების. თუ მიუთითებენ სხვა და სხვა შეცდომებზე, დაეხმარებიან მორალურად და სხვა.

თავისი გარეგანი ორგანიზაციებით. საბჭოთა ხელისუფლება და მის აღმასკომები დღეს უკვე ნათელია ფართო მასისთვის. ახლა კი სდგას ასეთი ამოცანა დაინახოს ყველამ მისი შინაგანი მხარეები და შინაარსი, რომ რაც შეიძლება რელიეფურად და დაწვრილებით მიხვდეს ყველა მშრომელმა, თუ რა დიდი განსხვავებაა წინანდელ და ეხლანდელ წესწყობილებებ შორის, მხოლოდ ეს გაამტკიცებს საბჭოთა ხელის-უფლებას და გაამაგრებს მშრომელთა სიმპატიას მისადმი.

ამისთვის პოლიტ.ორგანოების წინა-

ვლია წიგნი დიდებულ წარსულზე,

მოდით მისთვის ბიბლიოთეკაში,

8 ამხანაგ. წითელ-არმიელებო, ეხლა თქვენ უკვე წერა-კითხვის მცოდნენი ხართ, თქვენ ყველა კითხულობთ გაზეთებს, მაგრამ ამ გაზეთებში, როცა თქვენ კითხულობთ გერმანიაზე, პოლონეთზე, რუმინიასა და საფრანგეთზე, ხშირად შეგხვდებათ მინისტერთა და მთავარ სარდალთა სახელებს, რომელთაც თქვენ არ იცნობთ. ეს იმიტომ, რომ საზოგადოთ ცოტა იცით ჩვენს მოსაზღვრე სახელმწიფოებზე, ამათ შესახებ არიან წიგნები, წაიკითხეთ ისინი და ბევრი უცნობი სახელები გაზეთებში გასაგები იქნება თქვენთვის.

საბიბლიოთეკო სექცია.

პატარა ფელეტონი.

(წითელ-არმელთა კლუბში ლოტოზე მომუშავეთა ცხოვრებიდან.)

მომქმედნი:

1) პავლე. } ცოლქმარნი.
2) თეკლე. }

(სცენა-ოთახი. თეკლე ზის, ხელსაქმობს და ამთქნარებს სიჩუმე.)

თეკ. უჰ, რა მეძინება! სადაა აქამდის პავლუშა? (სიჩუმე.)

პავ. (შემოდის შეზარხოშებული.) თეკლიუშა! ჯერ არ დაგიძინია? (ეხვევა.)

თეკ. ო, მოხვედი განაცვალე? ა, კიდევ დამთვრალხარ?!

პავ. ისე... ცოტა... პეტრესთან ერთად. ერთი ლოგინი გამიშალე.

თეკ. მზათაა. (ადგება, მიიყვანს და აწვენს.) დაწექი

პავ. ო, დღეს რა თამაშობა იყო! თხუთმეტი მილიონზე მეტი, თითო მიგება.

თეკ. ხვალ მეც უნდა მოვიდე და ვითამაშო იქნება მეც მოვიგო!

პავ. შენღა გაკლია. (ამთქნარებს-წვება.)

თეკ. ვითომაც რატომაო? ვიზე ნაკლები ვარ! ჰო, ეს ქალები კიდევ კარგი, მარა, ეს კაცებ რაღა ჭირმა გადარია? გალოტოისტდენ ისინიც?

პავ. ბითურებია ყველა.

თეკ. იცი რაა პავლუშა! მე...მაგრამ შენ იქა მყავდე და რაღა მიჭირს? მე რომელი ნომერიც მაკლდება თვალით განიშნებ და ის ამოიძახე, კარგი!?

პავლე. ჰა!.. ჰო!.. (ეძინება) მერე Праверка ფული გააქვს?

თეკ. მააქვს ცოტა. მეც ხომ ჩვენებიანთ ნატაშასეებრ არ ვიზამ! ლოტოში სათამაშო ფულისათვის ყველაფერი გაჰყიდა და გუშინ პერანგი თავის Таварищи-თ стари адеж-ს მიჰყიდა... რაა, დაგეძინა? (თავისთვის.) იქნება ჩემი душка ვანოც იქა ვნახო? ო, როგორ გიბამ თვალებს შე გამოტვინებულო! ამას გონია, რომ მარტო ამისთვის...

პავ. (ძილში) игра начинаица! пакришка...

თეკ (იცინის) რაო?! ძილშიც ლოტო აგონდება?!

პავ. пакрит всу дванацит нумер...

თეკ. (იცინის) ოო, მეხი კი დაგაყარე!

პავ. цвет карти лилова, 10, 3, 24.

თეკ. (იხდის და წვება მასთან.) ო, ეხლა გააჭირებს საქმეს.

პავ. 60, 1, 55, ჰა? што?

თეკ. აბა თუ დაჩუმდეს! მეძინება.

პავ. ни правилна.

თეკ. პავლუშა!

პავ. 19 №-რ ни бил...

თეკ. Довольно, მეძინება.

პავ. ჰა? прашу лоби ни снимат.

თეკ. ლობიოვო?!

პავ. Виграли 4 კარტი. видача... дача... латаринцки ბილეთ.. მილიონ... ტისიაჩ... სტო. შტო... შნო...

ყიყლიყო.

„შენ“ და „თქვენ“ წითელ არმიაში.

გაზეთ „იზვესტია-“ს კვირის ნომერში მოთავსებულია წერილი არმიელების შჩეკოჩიხინის და ჩერნიშევის შესახებ, რომლებმაც ისახელეს თავი, როგორც გმირებმა კოლომენსკის აფეთქების და ცეცხლის დროს. წერილის ავტორი გვიამბობს, რომ გარნიზონის უფროსი მივიდა შჩეკორიხინთან და ჰკითხა:

—შენ მიცნობ მე?

—დიახ, თქვენ გარნიზონის უფროსი ხართ.

მე ვფიქრობ, რომ ეს მიმართვა არ არი სისწორით გადმოცემული. წინააღმდეგ შემთხვევაში საბუთი გვექნებოდა გვეფიქრა, რომ გარნიზონის უფროსი ელაპარაკება წითელ არმიელებს, შეუფერებლის ტონით.

რასაკვირველია, წითელ არმიელებს შეუძლიათ მიმართონ ერთმანეთს „შენ“-ობით, როგორც ამხანაგებს, და მხოლოდ, როგორც ამხანაგებს.

წითელ არმიაში შეუძლებელია უფროსმა მიმართოს „შენ“-ობით მის ხელქვეითს, თუ ხელქვეითი უპასუხებს თქვენობით წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა პიროვნულს და არა თანამდებობითი უთანასწორობას.

რა თქმა უნდა, „შენ“ და „თქვენ“ —დამოკიდებულია შემთხვევაზედ. მაგრამ ეს შემთხვევითი მოვლენაც გამოხატავს ადამიანურ დამოკიდებულებას

ერთ შემთხვევაში სიტყვა „შენ“ გამოხატავს ამხანაგურ სიახლოვეს, მაგრამ როდის? როდესაც ის ემყარება ურთიერთობას. მეორე შემთხვევაში ის გამოხატავს დამცირებას, უპატივცემლობას, ბატონურ დამოკიდებულებას.

ასეთი კილო წითელ არმიაში სრულიად დაუშვებელია. ზოგიერთს ჰგონია, რომ ეს წვრილმანი საქმეა. არ არი მართალი. წითელ არმიელი პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს, როგორც თავის თავს, ისე სხვას. ადამიანურ ღირსებისადმი პატივისცემა არის უმთავრესი შემაკავშირებელი ძალა წითელ არმიაში.

წითელ არმიელი ემორჩილება უფროსს სამსახურის წესით. დისციპლინა სავალდებულოა. მაგრამ ამავე დროს წითელ არმიელი უნდა გრძნობდეს, რომ ის მოწოდებულია შეასრულოს უაღრესად პასუხსაგები მოვალეობანი, როგორც შეგნებულმა მოქალაქემ.

სამხედრო ხელქვეითობასთან დაკავშირებულია სამოქალაქო და სინიდისის უფლებათა თანასწორობა, რომელიც არ დაუშვებს პიროვნების დამცირებას.

ლ. ტროცკი

შაბათობა საინჟენერო ათასეულში.

(დ. მანლისი.)

5 აგვისტოს დაბა მანგლისში მოწყობილი იქმნა შაბათობა რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო 150 კაცზედ მეტმა მუშაობა დაიწყეს დილიდანვე. დაგვილი და დასუფთავებული იქმნა ყველა შენობები ეზოებით. ამოწმინდეს თხრილები და დაასუფთავეს საინჟენერო ათასეულის კლუბის დარბაზი. ნაშუადღევს ათასეულის შემადგენლობა გამგზავრა როზა ლიუქსემბურგის სახელობის პარკში ლაფათქებით, წერაქვებით და ცულებით. ბაღი დასუფთავებული იქმნა შიგნით და გარეთ 6 აგვისტოს ამ პარკში ჩვენი ათასეულის მიერ მოწყობილი იქმნა საბავშო საღამო. ადგილობრივი მცხოვრებლები დიდი კმაყოფილი არიან წითელ-არმიელების ენერგიულ შრომით და მზრუნველობით.

გ. ცოტაძე.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

საინჟენერო ათასეულში.

ჩვენს ათასეულში დღეს წერა-კითხვის უცოდინარი არ მოიძებნება თუ დღემდე უცოდინართა რიცხვი საკმაო იყო, დღეს, საბედნიეროთ, ასეთებს ვერ ნახავთ. წითელ-არმიელები დიდი ინტერესით კითხულობენ ბროშიურა-წიგნებს, გაზეთებს და ჟურნალებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციამ მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა წ. არმიელთა გათვიცნობიერების საქმეს. მადლობას ვუძღვნით ჩვენს მთავრობას და მასწავლებლებს ასეთი დაუვიწყარი ღვაწლისთვის ჩვენ საკეთილდღეოდ.

გ. ცოტაძე.



მოწინავე ქვეყნების ჯარის შემადგენლობა.

(გაგრძელება)

გერმანია.

თანახმად ვერსალის დადგენილებისა გერმანიას უნდა შეემცირებია თავისი ჯარი და მათი რიცხვი უნდა-დაეყვანა 100,000 ჯარის კაცამდე.

რაც იქნა შესრულებული გერმანიის მთავრობის მიერ. იმავე ვერსალის დადგენილებით არ უნდა ყოლებოდა გაწვრთნილი სათადარიგო ჯარი.

შე სდგას ფართო მასებში საბჭოთა მთავრობის პოპულირიზაციის ამოცანები, რაიც არსებობს მასში, რომ ფართოთ იქნას ახსნილი თუ საბჭოთა მთავრობა საერთოდ და კერძოთ კი ადგილობრივი ხელისუფლებანი. როგორ ზრუნავენ მშრომელ ხალხზე და სხვა. ამის მიზნით უნდა გამოყენებულ იქნან წითელ-არმიაში არსებული უამარი დაწესებულებანი, მაგ. კლუბები, წიგნთ-საცავ საკითხველოები სასწავლებლები, სხვა და სხვა წრეები და სექციები მათი თანამშრომლებით.

საბჭოთა სექციების და განყოფილებების მუშაობა წითელ-არმიაში უნდა გამოიხატებოდეს მასში, რომ წით.-არმიელებმა გაეცნონ: საბჭოთა წესწყობილების კონსტიტუციას და სტრუქტურას, საერთოდ მისი და კერძოთ კი ადგილობრივი ხელისუფალთა მუშაობის შინაარს; ერთი სიტყვით ფართო მასა წითელ-არმიელებისა სავსებით უნდა გაეცნონ (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) საბჭოთა მთავრობის აღმშენებლობითი მუშაობას. ახლად გაწვეულ წითელ-არმიელებში მუშაობა უმთავრესად ეკისრება საბჭოთა სექციებს-რამდენათ ეს მუშაობა მდებარეობს მასში რომ გააცნონ ახლად გაწვეულთ საბჭოთა კონსტიტუცია და ყველა ის უმთავრესი საქმეები: რომელთაც ეწევა საბჭოთა ხელისუფლება მიმდინარე მომენტში.

4. უახლოესი ამოცანები საბჭოთა სექციების და განყოფილებების.

ერთს პირველ და უახლოეს ამოცანას საბჭოთა განყოფილებების, რომ რაც შეიძლება მეტი ნაყოფი იქნეს მოტანილი, მდგომარეობს მასში, რომ მჭიდრო კავშირი გაებას ყველა განყოფილებებსა და სექციებს შორის, ამ უკანასკნელების კი ქართ. ბრიგადის პოლიტ-განყოფილებასთან.

როგორც კი ეს კავშირები იქნებიან აღდგენილნი, მაშინ შეიძლება მათი მუშაობის ხელმძღვანელობაც.

საბჭოთა სექციების და განყოფილების მუშაობა მაშინ იქნება ნაყოფიერი და საჩქარო, თუ ეს უკანასკნელნი საკმაოდ გაცნობილნი იქნებიან ადგილობრივი სამოქალაქო მთავრობების მუშაობას და მათ ადგილობრივ პირობებს. ამას მაშინ შეგვიძლია ჩვენ მივაღწიოთ, თუ აღდგენილი იქნება სწორი, და პირდაპირი ურთიერთობა და ადგილობრივი პირობების შესწავლა. ამ მიზნების მიღწევა საბჭოთა სექციებისთვის და განყოფილებისთვის იქნება მეორე უახლოეს ამოცანებისადმი მიღწევა.

შეფები და მასთან დაკავშირებული მუშაობა უნდა იქნეს სექციების ყურადღების საგანი. საჭიროა აღდგენილ იქნეს შეფებთან კავშირი არა მარტო ოფიციალური, არამედ ფაქტიური ცოცხალი და მეგობრული. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ შემდეგი გზებით:

ა) ერთად უნდა მოხდეს კრება კომიაჩეიკების, შეფების და წითელ-არმიის ნაწილების.

ბ) შეფის თანამშრომლების და წითელ-არმიელების ნაწილების საერთო კრებით.

გ) ნაწილებიდან დელეგატების გაგზავნა შეფებთან და პირიქით.

დ) საზეიმო-სხდომა შეფის წარმომადგენლების ნაწილებთან და პირიქით.

ამასთან ერთად საჭიროა დაუყონებლივ გატარდეს ცხოვრებაში საბჭოთა წესწყობილების ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია მომენტთან. ამ შემთხვევაში პოლიტ-ორგანოების წინაშე სდგას შემდეგი მუშაობა:

ა) დამშეულებს რომ დაეხმარონ ადგილობრივმა სამოქალაქო დაწესებულებებმა და მოსახლეობამ ამისთვის საჭიროა რომ თვალსაჩინო მაგალითები დახმარების იქნეს თვით წითელ-არმიის ნაწილებიდან, რომ ამით ერთგვარი პოპულირიზაცია მოხდეს დახმარების მოსახლეობას ფართო მასაში.

ბ) უნდა ჩამორთმეულ იქნეს საეკლესიო ძვირფასი ქონებანი.

გ) უნდა იქნეს მიღებული მონაწილეობა იმ მუშაობაში, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა ორგანოები დაჭრილ წითელ-არმიელთა და ინვალიდთა და მათ ოჯახების დასახმარებლათ, რისთვისაც უზრუნველყოფის საბჭოში და დაჭრილ დაავადმყოფებულ წით. არმიელთა, ინვალიდების და მათი ოჯახების დამხმარე კომიტეტში გამოგზავნილ უნდა იქნას წარმომადგენლები.

დ) მინდვრებში მოსავლის მოწევის დროს წით.-არმიელებმა უნდა დაეხმარონ მოსავლის მოწევაში იმ წითელ არმიელთა და ინვალიდთა ოჯახებს, რომელთაც მუშა-ხელი საკმაო არა აქვთ.

ე) უნდა მიიღონ მონაწილეობა იმ საბჭოთა არჩევნების მუშაობაში, რომელიც დგას დღიურ საკითხად.

ვ) უნდა მოეწყოს ხშირად. წარმოდგენები, მიტინგები, კონცერტები, ლექციები, საუბრები, შაბათობები მოსახლეობასთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს წითელ-არმიის მცხოვრებლებთან დაახლოვების ერთ-ერთ მეთოდთაგანს.

(3)

მხოლოდ ამერიკის მთავრობის ცნობით რომ გერმანიას შეუძლია გამოიყვანოს გაწვრთნილი სათადარიგო ჯარი 4. 900,000 მდე და სულ გამოსწვევი ასაკისა ყავს მას 6.000,000 კაცამდე.

საველე ზარბაზნების რიცხვია გერმანიაში —288 მდე. ამნაირად შეასრულა გერმანიამ ვერსალის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მას სავსებით უნდა მოესპო თავისი არტილერია იმ კომისიის ცნობით რომელიც გერმანიის განიარაღებისათვის მუშაობს მას 32,000 ზარბაზანი ჩამორთმევია

პატარა სახელმწიფოები.

ბელგია

ბელგიის მოქმედი ჯარი შესდგება 120,073 ჯარის კაცისაგან, გაწვრთნილი რეზერვი მას ყავს 25,00 კაცი, გასაწვევი ასაკისა კი-1.125,000 მდე. საველე ზარბაზნებით შეიარაღებულია მისი ჯარი, რომლის რიცხვი უდრის 772.

გოლანდია.

გოლანდიის მოქმედი ჯარი შესდგება 40, 000 კაცისაგან ამას უნდა მიემატოს აგრეთვე 20,000 გაწვრთნილი მილიციონერები.

სათადარიგო ჯარი შესდგება 360,000 კაცისაგან.

გამოსაწვევი ასაკისა არის 1.000,000.

საველე ზარბაზნები აქვს გოლანდის სულ 171.

პორტუგალია

პორტუგალია ის მოქმედი ჯარი 61,000 ჯარის კაცისაგან შესდგება.

გაწვრთნილი სათადარიგო ჯარი კი 922,000 კაცამდე იქნება.

გასაწვევი ასაკის, 922!000 კაცი საველე ზარბაზნები აქვს პორტუგალის 292 ცალი.

ალ. გორ-ძე.

უცხოეთის სამხედრო ავიაციის განვითარება.

(გაგრძელება)

ახლა გადავიდეთ ავიაციის ხმელეთის ჯართან ბრძოლაზედ. ნუ აღვნიშნავთ სხვა და სხვა ბომბებს: ფუგასიერს, ნამტვრევიანს, მხუთავ გაზებს და ხლოროფორმს, რომელიც შესაძლოა თავს დაატყდეს ჯარს, ჩვენ შევეხოთ საფრენ აპარატების თანამედროვე სასროლ იარაღს. ამას-წინათ გამოქვეყნდა მოცემულებანი 8 ტყვიისფრქვევით შეიარაღებულ საფრენ აპარატებზე და ეხლა საჰაერო ფლოტში ამ გვარ აპარატების საგრძნობი რიცხვია შემოღებული. ეხლა უკვე არსებობს ამოდენიმე ტყვიისმფრქვეველთა რიცხვით და ამის გარდა 37 მილიმეტრიან და 47 მილიმეტრიან ზარბაზნებით შეიარაღებული აპარატები. უკანასკნელად გამოუშვეს 30 ტყვიისმფრქვეველთ შეიარაღებული საფრენი აპარატები. გამოცდილებამ დაგვანახვა, თუ რა დიდი განმანადგურებელი ძალა აქვს როგორც ცალკე ტყვიისმფრქვევებით და ბომბის მსროლებით შეიარაღებულ აპარატებს, ისე მათ ესკადრილიებს—ხმელეთის ჯარზედ თავდასხმის დროს. მრავალი მაგალითია, როცა შეიარაღებული ჰაეროპლანების ესკადრილიები ამარცხებდენ მთელ კავალერიის დივიზიებს, ეს მაგალითები გვაჩვენებენ, რომ აეროპლანთა მცირე ჯგუფსაც კი (10-20 აპარატი) შეუძლიან მიაყენოს მძიმე დამარცხება ცხენოსან ჯარს. ავიაციის მიმართ ქვეითა ჯარის დამარცხების ფაქტებიც მრავალია (გერმანიის ფრონტზე). ჰაეროპლანების არტილერიის წინააღმდეგ მოქმედება წარსულ ომში გამოიხატა იმაში, რომ ბრძოლის გადამწყვეტ დროში ინგლის საფრანგეთის არტილერიას მთელი ჯგუფები წყობილებიდან გამოკლებულ იქმნენ გერმანიის „გალბერშტადტების" თავდასხმით და აგრეთვე-გერმანიის განთქმული დიდ ყალიბიანი ზარბაზნების „კოლოსალის" ჩაჩუმება პარიზის ალყის დროს ფრანგ მფრინავების მოქმედებათა წყალობით მოხდა. დიადი საქმე მათ შეასრულეს, მაშინ როცა ისინი ერთ ან ორ ტყვისმფრქვევით იყვენ შეიარაღებული და მცირე რამდენიმე ბომბების ჰქონდათ თან. არაა საჭირო რომ ადამიანი ავიოსპეციალისტი იყოს, რომ წარმოიდგინოს თუ რა შეუძლია მოიმოქმედოს თანამედროვე ხანაში მრავალ ტყვიისმფრქვევიან და „ზარბაზნიან" მრავალ რიცხოვანმა ჰაეროპლანებმა—ახალ ბუმბერაზ ბომბების საკმაო მარაგით.

არ შევეხებით რა საკითხს ჰაერში ბრძოლის ტაქტიკის ევოლიუციის საკითხებს და ჯარისა და საზღვაო ფლოტის დახმარების პროგრესის შესახებ—ავიაციის მიერ, სულ ზერელე გადასინჯვა ავიაციის ევოლიუციისა, გვიკარნახებს ჩვენ მის სამხედრო მნიშვნელობას და მის გამრავლება-განვითარების საჭიროებას. იმპერიალისტური სამოქალაქო ომების გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ავიაციის უმნიშვნელოდ დაზიანება დედამიწიდან ზღვიდან სროლით შესაძლოა და ერთად ერთი ნამდვილი ბრძოლა მასთან ეს ჰაერში ბრძოლაა. ამა თუ იმ მომენტში თუ არ შევწევს შეძლება გადავარჩინოთ ჯარი მტრის ავიაციის განადგურებისაგან, ჩვენ წინასწარ ყოველი ზომები უნდა მივიღოთ რათა დავიცვათ ჯარი ზემოდან განადგურებისაგან—აქ საჭიროა ზედმიწევნით საჰაერო თვალდევნა და ჯარის შეხამება—განილაგება. დაცემის და თავდაცვის საშუალებათა ტეხნიკა ვითარდება ჩვენს დროს დიდის სისწრაფით, როგორც არას დროს. ამიტომ სამხედრო ტეხნიკის განვითარებას ძალიან დიდის ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალი და ამით უზრუნველ ვყოთ ჩვენი თავი ყოველგვარ სიურპრიზიდან, რომელსაც შემოგვთავაზებს მტერი.

გ. ბ.



ჭრაქის წინააღმდეგ წამლობა

ჩვენში ისეთ მევენახეს ვერსად ნახავთ რომ არ იცოდეს, რომ ერთად ერთი შაბიამანით შეიძლება ვენახის ჭრაქის თავიდან აცილება, მაგრამ საუბედუროთ შაბიამანის მომზადება და დროზე ხმარება ჯერ კიდევ ბევრმა არ იცის.

შაბიამანის წამალი, თუ ის კარგათ არ იქნა შეზავებული და დროზე არ უწამლეთ ვენახს სარგებლობას ვერ მოიტანს და მევენახეს უქმათ ჩაუვლის ხარჯი და შრომა.

ცხელსა და მშრალი ამინდების დროს ვენახები ჭრაქიდან დაცულია (ასე მაგალითად, როგორც ეს იყო შარშან) მარა თუ ნესტიანი და წვიმიანი წელიწადი მობრუნდა, როგორც მაგალითად წრევანდელი წელიწადი, შენი, მტერია-ვენახებს ჭრაქი გაანადგურებს. გვალვიან წელიწადის წამლობა იფარავს ვენახებს ჭრაქიდან, წვიმიან წელიწადში მაინც და მაინც ბერათური სარგებლობა მოაქვს, იმიტომ რომ ჩვენში ხეირიანი წამლობა არ იციან.

ეს ასე რადი უნდა იყოს; კარგათ და დროზე წამალ ვენახს ჭრაქი ვერ უნდა მოერიოს ვერც ვერც წვიმიან წელში. წელს შედარებით ვენახები ჭრაქისგან უკეთ არის დაცული კახეთში ვინემ ქართლში—ჩვენ გვქონდა შემთხვევა ამის დაკვირვების. ამის ერთად ერთი მიზეზი ის არის რომ კახეთში უკეთ იციან ვენახის წამლობა ვინემ ქართლში.

ქართლში ვენახების დიდი უმეტესობა სრულიად განადგურებულია ჭრაქისგან; ფოთლები უკვე გამხმარა და ჩამოცვენილა. ტიტველა ყლორტებს კი რაღა დაამწიფებს?!

იშვიათად შეხვდები კარგათ და დროზედ ნაზამლ ვენახს, რომელშიც მშვენიერად გამოიყურება და ჭრაქი არა აქვს მოდებული. ჩვენ ქვონდა ბაასი მევენახეებთან.

—ეცადეთ რომ ტყუილ უბრალოდ არ ჩაგიაროს შრომამ და ხარჯმა. როცა თქვენ არ გაქვთ გამოცდილება, ჰკითხეთ მცოდნე კაცს და მისი დარიგების მიხედვით იმუშავეთ, ურჩიე მე მრავალს.

—სად არის მცოდნე კაცი?—ჩვენ არა გვყავს ამის მასწავლებელი და ცუდათ მიგვდის საქმე; აი მე ორჯერ უწამლე შაბიამანით და ვენახი მაინც გაფუჭდა, შემომჩივლა გლეხმა და მიჩვენა ვენახი, რომელსაც ფოთლები უკვე გახმობოდა, ყურძენი შეჰკნობოდა და ცვიოდა, თუმცა შაბიამანის ნაწამლი კიდევ აჩნდა ფოთლებსა და ღეროებს.

მართლაც, ვინ უნდა მისცეს საჭირო დარიგება მევენახეებს და დაიფაროს ისინი შეცდომებისგან?

რასა თქმა უნდა აგრონომებმა და ინსტრუქტორებმა, მარა ისე მოტრიალდა ჩვენი მეურნეობის საქმე უსახსრობის გამო, რომ მაზრებში ზოგან მხოლოდ ერთი აგრონომი დარჩა და ზოგან აგრონომი სულ არ არის, ინსტრუქტორები ხომ მთლად გადაწყვა.

რა ქნას ერთმა აგრონომმა, რომელიც საქმეებით ისეა დატვირთული, რომ შუაზედაც რომ გაშრას მაინც ვერ შესძლებს მეურნეობის რომელიმე ერთ დარგს, ვთქვათ მევენახეობას დაწვრილებით წაუძღვეს წინ და თავის სამუშაოსთან ერთად მასწავლებლობა და ხელმძღვანელობაც გაუწიოს გლეხობას.. ამიტომ დანაკლისი როგორმე ისევ ჩვენმა გაზეთმა უნდა შეავსოს.

მიწის მუშა შეურიგდეს იმას, რომ ყოველთვის მაჩვენებელი დამრიგებელი იქნება კარზე ვერ მიადგეს მას, მარა ეს იმას არ ნიშნავს რომ მან გულზე ხელ დაკრეფილი უნდა იჯდეს და უთავბოლო მუშაობას მისცეს თავი. თუ დამრიგებელი არსაიდან გაჩნდა, სოფლის მუშამ საჭირო წიგნებიდან და გაზეთებიდან უნდა ამოიკითხოს ცოდნა და იმით ისარგებლოს.

ჩვენ არა, ერთხელ დაგვიწერია ჭრაქის წინააღმდეგ წამლობის შესახებ და კიდევ გავიმეორებთ:

1. ჯერ-მაზე თუ როგორ შევაზავოთ წამალი.

აიღეთ,

ა) წყალი . .	2 ნახ. ფუთი.
ბ) შაბიამანი . .	2 გირვანქა
გ) კირი . . .	1 მეოთხ. „

2. ვენახის მორწყვის წესი.

ახლა მომზადებული სითხე (ღამე არ უნდა გაათიოს) უნდა მიესხუროს ვაზის ნორჩ ნაწილებს რამდენიმე დღით (ორი-სამი) ადრე, სანამ ჭრაქი გალვივდებოდეს გაზაფხულზე; ჭრაქი ჩნდება აპრილ—მაისში წვიმების შემდეგ. მაშასადამე მევენახემ უნდა ადევნოს თვალყური ამინდს.

მეორეთ წამლობისთვის იმავე წესით მზადდება წამალი და უნდა ეწამლოს ორი-სამი კვირის შემდეგ პირველი წამლობიდან, კიდევ წვიმების შემდეგ. ეს დაახლოვებით ხდება ივნის-ივლისში, მესამეთაც უნდა წამლობა ამავე წესით.

თუ დაკვირვებული მევენახე ამინდს მოხერხებულად შეარჩევს და დროზე უწამლებს ვენახებს, მის ვენახს ჭრაქი ვერც წვიმაში დააკლებს რასმეს და ვერც მშრალ ამინდებში. ვისაც ასეთი დაკვირვებას თავი არა აქვს მას უნდა უწამლოს ვენახს ხშირად—ოთხჯერ ხუთჯერ ხარჯის დარიდება ამ შემთხვევაში არ ივარგებს.

კ. ბ.



პოლიტ-განყოფილების ერთ-ერთ კაბინეტში.

გამოცანა

ოდეს მოხვალ საქმისთვის:
ყურადღებას არ გაქცევს;
რადგან ელსმენში „ტურფას"
არშიყობით შეაქცევს.

—

მთხოვნელი-კი მთელი დღე:
უცდის და. . ეძინება;
იმას, გულში ვინ იცის
ყველაზე ეცინება?!

—

ვერ გავიგეთ როგორი
არის ესე არსება!
საქმე ჩქარა საქმხელი
აქ მუდამ ითარსება!...

ჰიტა!

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან რედაქტორი ს. ქურიძე